ვებ-გვერდის მოვლენათა შეტყობინების სისტემა

ავიაკომპანია Geo Sky- ის ვებგვრდზე დანერგილი მოვლენათა შეტყობინების სისტემა წარმოადგენს ოფიციალურ მექანიზმს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღბის, რეგისტრაციისა და მართვისთვის. სისტემა უზრუნველყოფს შეტყობინების წარდგენას კომპანიის ოფიციაalური ვებგვერდიდან, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ლოკაციიდან და ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით.

ნებისმიერ პირს შეუძლია აცნობოს Geo Sky-ს უსაფრთხოების დეპარტამენტს ნებისმიერი საავიაციო მოვლენის შესახებ, რომლის მონაწილე ან თვითმხილველი თავად გახდა ან რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს ფრენის უსაფრთხოების, მიწისზედა ოპერაციების ან ზოგადად, ორგანიზაციული უსაფრთხოებისთვის.

ვებგვერდზე განთავსებული შეტყობინების ფორმა იძლევა სრულად ანონიმური შეტყობინების შესაძლებლობას. სავალდებულო ველი არის მხოლოდ შემთხვევის აღწერა, დანარჩენი ველები მათ შრის სახელი, ელფოსტა, მდებარეობა, თარიღი და რისკების შეფასება ნებაყოფლობითია.

ვებ-გვერდის უსაფრთხოების შეტყობინების სისტემის მიზანია უსაფრთხოების შესახებ შეტყობინების კულტურის გაძლიერება , უსაფრთხოების რისკებისა და შესაძლო საფრთხეების დროული იდენტიფიცირებისა და მართვის უზრუნველყოფა.

აღნიშნული სისტემის მიზანია:

ა) ორგანიზაციის მასშტაბით საფრთხეების წინასწარი იდენტიფიცირების ხელშეწყობა ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობით;

ბ) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების, შენახვისა და ანალიზის ეფექტურობის უზრუნველყოფა ვებგვერდზე დაფუძნებული ცენტრალიზებული შეტყობინების სისტემის მეშვეობით;

გ) უსაფრთხოების შეტყობინების პროცესისადმი ნდობის განმტკიცება ანონიმურობისა და არასანქცირებული გარემოს უზრუნველყოფა;

დ) ოპერაციული და უსაფრთხოების დეპარტამენტებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა გამოვლენილი საფრთხეების შემცირების მიზნით;

ე) ეროვნული და საერთაშორისო საავიაციო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამსობის უზრუნველყოფა, მათ შორის GCAA-ის ბრძანება N97-ის მოთხოვნების შესრულება, შესაბამისი უსაფრთხოების ინფორმაციის დადგენილ ვადაში შეგროვებისა და გადაცემის გზით;

ვ) უსაფრთხოების შეტყობინების კულტურის გაძლიერება თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული შეტყობინების მიღება, მოკვლევა და შესაბამისი რეაგირება.

ვებ-გვერდის მოვლენათა შეტყობინბეის სისტემა კომპანიას ხელს უწყობს უზრუნველყოს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები და რეგულაციების დაცვა, ყველა პერსონალის აქტიური ჩართულობით უსაფრთხოების შეტყობინების პროცესში.

შეტყობინების ავტორის მიერ პირადი მონაცემების (სახელი, ელ-ფოსტა) მითითების შემთხვევაშ, უსაფრთხოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პირდაპირ უკუკავშირს უშუალოდ შეტყობინების ავტორთან.

ანაონიმური შეტყობინების შემთხვევაში, უსაფრთხოების დეპარტამენტი შესაძლო საკომუნიკაციო საშუალებით (მაგ.საინფორმაციო ბიულეტენი) უზრუნველყოფს შეტყობინების მიღების დადასტურებას.

ვის შეუძლია ვებ-გვერდის შეტყობინნების წარდგენა

ნებისმიერ პირს შეუძლია უსაფრთხოების შეტყობინების წარდგენა ავიაკომპანია Geo Sky-ის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, მათ შორის:

ა) კომპანიის თანამშრომლებს (საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს, მიწისზედა სამსახურის თანამშრომლებს, მენეჯმენტს და ა.შ);

ბ) კონტრაქტორებს და სერვისი მომწოდებლებს;

გ) ნებისმიერ სხვა პირს, რომელმელიც შეესწრო ავიაკომპანია Geo Sky-ის ოპერაციებთან დაკავშირებული საფრთხეს/მვლენას.

შეტყობინებაში უმჯობესია მაქსიმალურად მეტი ფაქტობრივი ინფორმაცია მიუთითით, თუმცა თქვვენი ვინაობის ან მეილის გაზიარებას თავად წყვეტთ.

ღილაკზე დაჭერით შეტყობინება სრულიად ანონიმური ხდება და აღარ საჭიროებს ვინაობის მითითებას.



როდის უნდა წარადგინოთ მოხსენება

ვებგვერდის შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, რაც შეტრობინების ავტორისთის ცნობილი გახდა შემდეგი გარემოებების შესახებ:

ა) ნებისმიერი მოვლენა, საფრთხე ან ნებისმიერი ქმედება , რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ფრენის უსაფრთხოებას;

ბ) ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც არ ფიქსირდება სავალდებულო შეტყობინების სისტემაში, მაგრამ მიიჩნევა როგორც პოტენციურ საფრთხედ;

გ) დარღვევები, ტექნიკური ხარვეზები ან ადმიანური ფაქტორებით გამოწვეული საკითხები, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფრენის უსაფრთხოებას.

შენიშვნა: თუ აღნიშნული შეტყობინება კალასიფიცირებულია როგორც სავალდებულო შეტყობინება GCAA ბრძანება N97-ის შესაბამისად, უსაფრთხოების დეპარტამენტმა შეასაძლებელია ინფორმაცია გადასცეს GCAA-ს 72 საათის განმავლობაში.

როგორ უნდა წარადგინოთ შეტყობინება ვებგვერდის საშუალებით

1. შედიხათ კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.airgeosky.com
2. აირჩიეთ მოვლენათა შეტყობინების სექციას;



3. აირჩიეთ სასურველი ენა (ქართული ან ინგლისური)
4. შეავსეთ ფორმა შემეგი ველებით:
   ა) სახელი (არასავალდებულო)
   ბ) ელ-ფოსტის მისამართი (არასავალდებულო)
   გ) თარიღი და დრო (არასავალდებულო)
   დ) შემთხვევის ადგილი (არასავალდებულო)
   ე) შეაფასეთ შესაძლო რისკი(ალბათონა და სიმძიმე) (არასავალდებულო)
   ვ) აღწერე შემთხვევა ან საფრთხე (სავალდებულო)
   ზ)მოვლენათა შეტყობინების ადრესტ(ებ)ი (არასავალდებულო)
   თ) თვითმფრინავსი სარეგისტრაციო (საბორტო) ნომერი (არასავალდებულო)
   ი) დანართები (არასავალდებულო)

   კ) გააგზავნეთ ფორმა ღილაკზე „გაგზავნა“ დაჭერით.



გაგზავნის დადასტურების შეტყობინება გამოჩნდება ეკრანზე.

საკონტაქტო მონაცემების მითითების შემთხვევაში უსაფრთხოების დეპარტამენტი უკუკავშირს უზრუნველყოფს ელ-ფოტით.

კონფიდენციალურობა

ა) შეტყობინების გამომგზავნის ვინაობა და შეტყობინებაში მითითებული პირადი მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია;

ბ) შეტყობინების გამომგზავნის შესახებ ინფორმაციის მესამე პირზე გადაცემა დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა ან პირის წერილობითი;

გ) ნებაყოფლობითი შეტყობინების სისტემა ეფუძნება არასადამსჯელო პრინციპებს და ემსახურება ფრენის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

შეტყობინების დამუშავება

ა) ყველა ვებ-შეტყობინება იგზავნება უსაფრთხოების დეპარტამენში;

ბ) თითოეული შეტყობინება რეგისტრირდება საავიაციო შემთხვევების შეტყობინებათა ჟურნალში;

გ) უსაფრთხოების დირექტორი განიხილავს და ახდენს მათ კლასიფიკაციას, საჭიროებისმაბრ უზრუნველყოფს რისკების შეფასებასა და შემცირების პროცესის ინიცირებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იგზავნება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში (GCAA) 72 საათის განმავლობაში;

ე) განხორციელებული ქმედებები და უკუკავშირის კომუნიკაცია ხდება Aasna-ს . ელ-ფოსტის, SIB-ს ან SRC-ი შეხვედრების მეშვეობით.